<u>ამონაწერი</u>

საქართველოს პარლამენტის

კულტურის კომიტეტის 2025 წლის 29 აპრილის N 10 სხდომის ოქმიდან

სხდომას უძღვებოდა: კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - გიორგი გაბუნია.

სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის შემდეგი წევრები: ეკა ჭიჭინაძე; არჩილ ბერიძე; ისკო დასენი; ზაზა ლომინაძე; გიორგი სოსიაშვილი; გრიგოლ აბესაძე.

მოისმინეს:

კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი გაბუნიას წინადადება, კულტურის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების დაგეგმვისათვის კულტურის კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების შექმნის შესახებ.

გადაწყვიტეს:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 47-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნას კულტურის კომიტეტთან არსებული თეატრისა და კინოს საკონსულტაციო საბჭო, ასევე მწერლობის საკონსულტაციო საბჭო და დამტკიცდეს ამ საბჭოების დებულებები.

მწერლობის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. გურამ ოდიშარია - პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე;
2. ქეთევან დუმბაძე - სსიპ მწერალთა სახლის დირექტორი;
3. მაყვალა გონაშვილი - მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;
4. ქეთევან ტომარაძე - მწერალი, რედაქტორი.

თეატრისა და კინოს საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი სიხარულიძე - სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი;
2. ნიკოლოზ შველიძე - სსიპ ქ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი;
3. ლევან კოღუაშვილი - რეჟისორი;
4. დიმიტრი ღვთისიაშვილი - სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

გიორგი გაბუნია

სხდომის თავმჯდომარე